

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო ორგანიზაციისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

26 აპრილი, ხუთშაბათი, 1990 წ. № 79 (10 248) ● ფანი 8 კაპ.

გაემატა 1934 წლის 13 აპრილიდან



საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ქალთა შორის ზადრკაშვი

იოსელიანი დაეწია არახანში

მეთორმეტე ტური. იოსელიანი — ლანჩავა 1:0, ხუგაშვილი — ქახიანი 0:1, გაფრინდაშვილი — არახანია 1:0, ხაღინაშვილი — ალექსანდრია 1:0, ნიკოლაძე — კობახიძე 0:1, გურიელი — ხურცილავა 1:0, მელაშვილი — კახიანი 0:5:0,5

პარტიების მსვლელობის შესახებ გვესაუბრება საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **სულიკო მებრძოლი**.

— 6 პარტიაში გამარჯვება აღიწინა, ერთში კი ყაიმი — აი ამ უ-

ღრესად დაძაბული ტურის შედეგი. მეორე უმნიშვნელოვანესი შედეგი კი ის ვანდათა, რომ იოსელიანი, რომელმაც ბოლო 9 ტურში 8,5 (1) ქულა მოაგროვა, დაეწია არახანიას, პირველივე ტურებიდან ერთპიროვნულად რომ ლიდერობდა.

იოსელიანი — ლანჩავას პარტიაში ნორჩ მოჭადრაკის დიდხანს კარგი პოზიცია ჰქონდა, მაგრამ თანდათან პრეტენდენტმა „ხელი გამოიღო“ და ერთხელ კიდევ გვიხვენა თავისი მაღალი კლასი. ბოლოს თამაში გადავიდა ეტლების ენდშილიში, სადაც იოსელიანი უპირატესობა ჰქონდა: ჯერ ერთი, მისი მეფე უფრო ახლოს იყო ცენტრთან, სადაც პარტიის ბედი უნდა გადაწყვეტილიყო და ეტლიც სჯობდა თავის შებ „ოპონენტს“. ასეთ სიტუაციაში ლანჩავამ თვით შესაფერის მეთოდს ეტლის გაცვლა (საჭირო იყო მისი შენარჩუნება და პაივის დათმობა), რის შემდეგ თამაში გადავიდა პაივების ენდშილიში. აქ იოსელიანმა იოლად მიიყვანა პარტია გამარჯვებამდე.

გასაგებია, როგორი ინტერესი გამოიწვია გაფრინდაშვილისა და არახანის შეხვედრამ. არახანის პრაქტიკულად ყაიმიც აძლევდა ხელს, გაფრინდაშვილი კი მხოლოდ მოგებისკენ მიისწრაფოდა, როგორც ყოველთვის. არახანამ შეეხებოდა ძველინდურ დაცვას მიმართა. ეს, რა თქმა უნდა, წინასწარვე იყო ცნობილი მსოფლიო ექსპერტებისთვის, რომელმაც მეტოქეს ერთი საინტერესო, შედარებით ახალი ვარიანტი მოუზღადა, რომელიც ამ ტურნირში უკვე გამოიყენა კახიანმა. ეს არის ძველინდური დაცვის წინააღმდეგ დიდხანს ავერბახის სისტემის თავისებური პიბრიდი 20-იანი წლებიდან კარგად ცნობილ ზემიშის სისტემასთან. ასეა თუ ისე, არახანამ ამ იარაღის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო. თეთრების პოზიციური უპირატესობა ძალიან დიდი იყო. გაფრინდაშვილი ბოლომდე ზუსტად თამაშობდა და გაიმარჯვა.

ერთი სიტყვით, დღევანდელი, ბოლო ტურის წინ შეჯიბრებას ორი ლიდერი ჰყავს. არახანამ და იოსელიანმა ათ-ათი ქულა მოაგროვეს და ახლა ყველაფერს უკანასკნელი შეხვედრები გადაწყვეტს. არახანია თეთრებით ეთამაშება სადუ-

ნიშვილს, ხოლო იოსელიანი შავებით — შურტილავას.

ტურნირზე მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. რა თქმა უნდა, პირველი ადგილისთვის ბრძოლასთან ერთად ჩემპიონატში ბევრი სხვა პრობლემაცაა — ვის დარჩება მესამე ადგილი, რომლის პრეტენდენტები არიან გაფრინდაშვილი, გურიელი და კახიანი? ამასთან ამ ორი უკანასკნელის შეხვედრა სწორედ ბოლო ტურში უნდა შედგეს — თეთრებით კახიანი თამაშობს.

მელაშვილი — კახიანის პარტიაში საკმაოდ სწრაფი ყაიმი აღინიშნა, ასევე სწრაფად მოუგო გურიელმა ხურცილავას. სადუნიშვილ-ალექსანდრიას პარტიაში ალექსანდრიამ სახიფათო ექსპერიმენტი განახორციელა. იგი მეფეთ შეიჭრა თეთრების განლაგებაში და... უკან ველარ განმოვიდა. მეფე საშამათო ქსელში მოექცა. საინტერესოა, რომ ეს ალექსანდრიას მეორე დამარცხებაა ზედიზედ და სადუნიშვილის ზედიზედ მეორე მოგება. რომელმაც შეჯიბრების მეორე ნახევარში აშკარად გაუმჯობესა თამაში. მას სრულყოფილი აქვს ოსტატის ნიშანი და ახლა პირადი კოეფიციენტის რამდენადმე გაუმჯობესება უნდა, რათა მიიღოს კიდევც ეს წოდება. კობახიძემ მოუგო ნიკოლაძეს და თავი დააღწია განუყოფელ ბოლო ადგილს, ხოლო ქასოშვილმა მოუგო ხუგაშვილს, რომელიც ბოლო ტურებში აშკარად გადაიძაბა. ეს მისი მესამე დამარცხებაა ზედიზედ, ძალიან მოულოდნელი ესოდენ გამოცდილი მოჭადრაკისაგან.

მდგომარეობა 12 ტურის შემდეგ: არახანია და იოსელიანი — 10-10 ქულა, გაფრინდაშვილი — 8,5 (1), გურიელი და კახიანი — 8-8, ალექსანდრია — 8, ხაღინაშვილი — 5 (1), ქასოშვილი — 4,5 (2), მელაშვილი 4 (2), ლანჩავა და ხურცილავა — 3,5 ქულა თითოეულს და თითო გადადებული პარტია, ხუგაშვილი — 3,5, კობახიძე და ნიკოლაძე — 3-3 ქულა.

მაშ ასე, დღეს უკანასკნელ, მეცამეტე ტურში ერთმანეთს შეხვედებიან ხურცილავა — იოსელიანი, არახანია — ხაღინაშვილი, კახიანი — გაფრინდაშვილი, ლანჩავა — ხუგაშვილი, ქასოშვილი — გაფრინდაშვილი, ალექსანდრია — ნიკოლაძე და კობახიძე — მელაშვილი.

ნატო ნასარიძე, ხათუნა ქვრივიშვილი და ოლა ზაბუჯინა...


სოხუმი. აქ მიმდინარეობს მშვილდოსანთა საკავშირო თასის გათამაშება, რომელშიც უკონკურსოდ გამოდის თურქეთის სპორტსმენებიც. სულ ასპარეზობაში მონაწილეობს 47 ქალაქის 160 წარმომადგენელი. სპორტსმენებმა უკვე განვლეს პირადი ტურნირის ნახევარი. გამოვლინდნენ მერვედფინალის მონაწილენი, 24-24 უძლიერესი ქალი და ვაჟი. მაგრამ ჯერ ორივე სიტყვა გუნდურ შეჯიბრებაზე, რომელიც „შრომითი რეზერვების“ ქალთა და საბჭოთა არმიის ვაჟთა გუნდების გამარჯვებით დამთავრდა.

ქვრივიშვილმა და მათმა თანაგუნდელებმა მინსკელმა ოლა ზაბუჯინამ. ამ ტრისტ მთავარი კონკურენტი იყო „დინამოს“ გუნდი, ერთ-ერთი ძლიერესი მშვილდოსნის ლიუდმილა არქანკოვას ხელმძღვანელობით. ნასარიძემ, ქვრივიშვილმა და ზაბუჯინამ განსაკუთრებით ძლიერად ჩაატარეს ბრძოლის დასკვნითი ეტაპი, დააგროვეს 975 ქულა და საპატიო პრიზიც მოიპოვეს. „დინამოს“ კოლექტივი გამარჯვებულ გუნდს 3 ქულით ჩამორჩა.

ვაჟთა ასპარეზობაში აშკარად იგრძნობოდა არმიელთა უპირატესობა (ვლადიმერ ეშევი, სტანისლავ ზა-



ნატო ნასარიძე



ხათუნა ქვრივიშვილი

ბროდსკი და ვადიმ შიკარიოვი), რომლებმაც 970 ქულა დააგროვეს და სსრ კავშირის თასი მოიპოვეს. პირად ასპარეზობაში კი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მხოლოდ დისტანციის ნახევარია განვლილი. ქალთა შორის ჯერჯერობით დაწინაურდა ლიუდმილა არქანკოვა (1342 ქულა), ვაჟებში კი ხარკოველ სტანისლავ ზაბროდსკისა და ჩიტელ ვალერი ლსენკოს ერთნაირი შედეგები აქვთ — 1321 ქულა თითოეულს. პირადი შეჯიბრება დღეს დამთავრდება.

უმაღლეს ლიგაში დასაბრუნებლად

როგორც ჩვენმა მკითხველმა იცის, თბილისის „ბურვესტიის“ ხელბურთულ ვაჟთა გუნდი იბრძვის უმაღლეს ლიგაში დასაბრუნებლად. დღეს თბილისში დაიწყება I ლიგის დასკვნითი ტური, სადაც, სხვებთან ერთად, ჩვენი გუნდის მეტოქე იქნება ბროვარის „სტროიტელი“. კოლექტივი, რომელიც მხოლოდ ერთი ქულით უსწრებს ბურვესტიელებს. ამჯერად თბილისელ ხელბურთელებს შესაძლებლობა ეძლევათ დააგროვონ ქულ-

ათა მაქსიმუმი და დაიკავონ პირველი ადგილი, რაც უმაღლესი ლიგის საგზურს იძლევა. შეხვედრები გაიმართება „ბურვესტიის“ სპორტულ კომპლექსში. დასაწყისი 16 საათზე. ტური 29 აპრილამდე გაგრძელდება. მასში მონაწილეობენ, აგრეთვე, ლვოვის ასე და დონეცკის „შახტერი“. დღეს პირველ შეხვედრას მასპინძელი ხელბურთელები ლვოვის ასკთან გამართავენ.


საშუალოდ ფინიშთან

გარნი. პოკისტა მსოფლიო ჩემპიონატზე მორიგი მატჩები გაიმართა: კანადა-შვეიცია 3:1, სსრ - ნორვეგია 4:1, აშშ - ნორვეგია 9:4, ფინეთი-გერ 4:2.

გათამაშვების ცხრილი

მდგომარეობა 25 აპრილისათვის

კანადა	6	8	0	0	83-18	12
შვეიცია	6	5	0	1	24-10	10
სსრ კავშირი	6	5	0	1	85-9	10
ჩეხოსლოვაკია	6	4	0	2	27-18	8
აშშ	6	2	0	4	21-36	4
ფინეთი	6	1	1	4	17-25	3
ნორვეგია	6	0	1	5	12-42	1
გერ	6	0	0	6	8-29	0




ჩემპიონატის პირველი ეტაპის დამთავრებამდე ერთი ტური დადარჩა, რომელშიც ყურადღებას იპყრობს ორი მატჩი: სსრ კავშირი-კანადა და ჩეხოსლოვაკია-შვეიცია.

„ცხუმის“ ანგარიშის ნომერია 60934

როგორც ადრე გაუწყეთ, საფხვურთო კლუბ „ცხუმის“ ანგარიში გახსნილია სოხუმში ბინოცხანის აფხაზეთის რესპუბლიკურ სამმართველოში. ორგანიზაციებსა და ინტერესებულ პირებს საშუალება აქვთ, თანხა ჩარიცხონ ანგარიშზე ნომერით 60934.

შეგიძლიათ, გვაცნობოთ, ვინ რამდენს გაიღებს.



გაფრინდაშვილი და არახანია პარტიის დაწყების წინ.



მეტროპოლიტენის ძლიერი ფეხვილი

პორტ სენტ-ლუისი (აშშ, ფლორიდა შტატი). აქ დაიწყო ჩოგბურთელთა სპორტსმორისო ტურნირის („რემინგტონი“) ფინალური შეხვედრები, რომელშიც მონაწილეობენ საოჯახო წყვილები. ასპარეზობა ადგილობრივ სპორტის მოყვარულთა დიდ ინტერესს იწვევს, გენაიდან მასში მონაწილეობს 15 ქვეყნის 300-ზე მეტი ასეთი დუეტი. მათ შორის არიან სხვადასხვა თაობის საბჭოთა ჩოგბურთელებიც („მამა და შვილი“, „დედა და ქალიშვილი“) ალექსანდრე და ირაკლი მეტრეველები, ვლადიმერ და ანდრე ვოლკოვები. ლიუბოვ და მარინა იულიენები.

წყვილი. ვოლკოვები დაძაბული ბრძოლის შემდეგ დამარცხდნენ კანადელთა დუეტთან — 1:6, 7:6, 6:8, იულიენები კი დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებთან — 3:6, 3:6.

საბჭოთა წყვილებიდან ბრძოლას, მხოლოდ მეტრეველები განაგრძობენ, რომელმაც აქ უკვე მთავარ ფავორიტებად თვლიან. მათ ჯერ იოლად მოუგეს ამერიკულ დუეტს (6:0, 6:0), მერე კი ავსტრიელი ჩოგბურთელები დაამარცხეს — 4:6, 6:2, 6:1.

ფავორიტებმა მომდევნო შეხვედრებიც საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაატარეს და ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს. ნახევარფინალში გავიდნენ, აგრეთვე, ავსტ-

რალიელი პარსლოუები და კანადელთა ორი დუეტი — ლეფერაბო და ბედარდები.

მიმომხილველები განსაკუთრებით გამოჰყურებენ მეტრეველების გამარჯვებას მარცხ და სტივენ კოქსებთან (ინგლისი). სხვათა შორის, ალექსანდრე მეტრეველი და უფროსი კოქსი — მარჯი 70-იან წლებში მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელები იყვნენ. ამჯერად კოქსების დუეტს გამარჯვების ერთ-ერთ პრეტენდენტად თვლიდნენ: მეოთხედფინალური ბრძოლა მათ შორის საკმაოდ მძიმე და დაძაბული იყო და დამთავრდა თბილისელების გამარჯვებით — 7:6, 7:6. შეხვედრა ორსაათნახევარზე მეტხანს გრძელდებოდა.

ხალხური თამაშები — ერის სიჭანხალის სასწაულებრივი

შვიდწევლოთ და გამოვამუშავოთ ხალხის უშრეტო საუნჯე... „დინერგოს ხალხური თამაშებისა და სპორტის ეროვნული სახეობების ელემენტები...“

სივრცულ უკუნიღბა ლაქარ „ჯგვიზს“

სხანეთი მატერიალური თესულიერი კულტურის ძეგლების უშრეტო საუნჯე და საგანძურია. ამ საუნჯეში აღამიანის ფიზიკური და სულიერი სრულყოფის უამრავი კომპლექსია თავმოყრილი. მათ შორის ბევრი რამ დღევანდელიობისათვის გაუცნობიერებელია.

ლა ცერემონიალის და რიტუალის აღწერას საგანძურში წერილი ვერ დაიტევს, შეიძლება ითქვას, იგი მეცნიერული კვლევის საგანია. ჩვენ მხოლოდ სპორტულ ელემენტებს გამოვყოფთ. „ჯგვიზი“ პირველ ყოვლისა სიმკვირცლის, ძალის, ექსტრემალურ პირობებში სწრაფი აზროვნების, მოხერხების, სიმარდის, გამბედაობის, გამძლეობის და, რაც მთავარია, ნებელობითი სიმტკიცის დემონსტრაციაა. სადღეთ რელიგიური რიტუალებთან ერთად ეს არის როგორც კოლექტიური, ასევე ინდივიდუალური შეგებება „მომხედურებსა“ და „დამხედურებს“ შორის.

რულეს წმინდა გიორგის საგალობელი „ჯგვიზში“. შემდეგ იწყება სპორტული პაექრობები, „მომხედურები“ პირველ ყოვლისა თავს ესხმის საგალობლის შემსრულებლებს, აქ არაერთი მნიშვნელობა არა აქვს ასაკს, ყველა ებმება ჯგუფურ ჰილდობაში, მოწინააღმდეგე თუ ერთხელ წაიქცა, მას არ აქვს უფლება მეორედ ვინმეს შეეხას, ვის მხარეზეც დარჩება მეტი წაუქცევად, ის გუნდი ითვლება გამარჯვებულად. შემდეგ იწყება ჰილდობა.


და სვეტზე ასეა, ჯგირის მოხსნა. ამ ამოცანის შესრულება ყველაზე ძლიერთა ხეგლია მხოლოდ. თუ „მომხედურთა“ მხრიდან არ გამოერია ისეთი კაცი, რომ ჯგირი მოხსნას, მაშინ იგი რჩება სვეტზე და გამარჯვება და კარგი მოსავალიც მასპინძელთა მხარეს არის. თუ ჯგირი არ მოიხსნა, მაშინ შემდეგი რიტუალი — კოშკის დანგრევა და სვეტის ამოღება არ შედგება. მომხსნელი ჯგირს აგდებს თავისიანებისაკენ, აქ იმართება ჯგირის დაუფლებიანთა ჯგუფური ჰილდობა, რომელი მხარეც ჯგირს დაეპატრონება, მოსავალიც იმ მხარეს იქნება. შემდეგ იწყება კოშკის დანგრევა. ეს პაექრობაც ძალიან აზარტულია. დამხედურნი იცავენ კოშკს, ანუ სიმბოლურ ციხესიმარეს დანგრევისაგან, პირველმხანველს ხელმართული ბრძოლა ეტონება. აქაც თითქმის ყველა ასაკის წარმომადგენლები ებმებიან პაექრობაში, ყველას უნდა თავისი მხარის წარმატებაში წვლილი შეიტანოს. კოშკს ანგრევენ წერაყინებით, ბარბით, მიგრებით (რკინისბოლიანი ჯიხით), საჩხებით. კოშკს ანგრევენ იმისთვის, რომ ბოძი ამოიღონ, აქაც სწრაფი შრომითი პროცესების შემონახვაა. ბოძის ამოღების შემდეგ იმართება ბრძოლა მისი დაუფლებიანთა. ეს დღესასწაულის კულმინაციაა, რომელი მხარეც დაიღვას, საბოლოო გამარჯვებაც და ღვთის წყალობაც მის მხარეს არის.

ხელება, როდის თა მთიმრქედს. მთავარი, რომ დღესასწაულზე თითოი ვარჯიშის სუფაძენს, პირველს აქვს უფლება ვინმეს აწვეწინოს ან ვინმესგან რაიმე უწყინოს. ეს არის ზეიმი შინაგანი განწყენდის, სუსტის და ძლიერის, კეთილის და ბოროტის გარჩევისა. დღესასწაულზე გამარჯვება მხოლოდ სიმბოლურია, შეგებების ბოლოს მასპინძლები ხელი-ხელ გაღებულნი მიუძღვებიან განსაკუთრებით აქტიურ და ბრძოლისუნარიან სტუდენტს საგანგებოდ მომზადებულ სუფრისაკენ, თუმცა სუსტები და ინერტულები თვითონ არიან თავს სუფრისთან მოხვედრას, იციან რა, რომ მათზე ნაკლებად იტყვიან საქებარ სიტყვებს. დღესასწაულის ყველა ელემენტი და რიტუალი იქითკენ არის მიმართული, რომ გულგრილი და უმოქმედო პაექრობები იყოს. ახლა ეს დღესასწაულები დავიწყებულია, არადა, თითოეული მათგანი აღამიანთა პარამიული სრულყოფის ინსტიტუტი იყო. კომუნისტურ პროპაგანდას რომ არ აეკრძალა ეკლესიებში ლოცვა-კლეროგეა და დღესასწაულები, დღევანდელი თაობა, მეგრე, უკეთესი იქნებოდა. სწორედ ცხოვრების სიმანჯველებთან საბრძოლველად არის პაქრობის ხალხის მიძინებული ძალის გამოღვივება. ღიმილის, შრომის სიყვარულის, ეკლესიის, ხატის და სხვა სულიერი სიმდიდრის დაბრუნება, ფიზიკური ვაჭანსაღება.



მაშულისათვის თავდადებულ აღამიანებს დავიწყება არ უწყრიათ... და ისევე ჩვენ, ცოცხალ დარჩენილნი, ვცდილობთ, ჩვენი მოკრძალებული მცდელობით პატრევი მივაგოთ სამშობლოს კეთილდღეობისათვის თავმეწირულ მამულიშვილებს. სწორედ ეს გახლდათ მიზეზ-მისა 21 აპრილს სოფელ გლდანში, ახლა გლდანელის სახელობის სპორტულ დარბაზში ჩატარებული ასპარეზობისა, რომელიც მიმდინარეობდა 9 აპრილს ტრადიციულ დღესასწაულს ქართული ვაჟკაცის ნორდარ ჯანგირაშვილის ხსოვნას.

ორგანიზატორებმა, სპორტსაზოგადოებმა „შეგარდენის“ საქალაქო საბჭომ და სოფელ გლდანის საჭიდაო დარბაზის დირექტორმა ანზორ ელიბაშვილმა, ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ ღონისძიება, რომლის პროგრამაშიც სპორტის მხოლოდ ერთი სახეობა — ქართული ჰილდობა შედიოდა, უნაკლებ ჩატარებულიყო.



ლევან ჯანგირაშვილი.

გსურთი სიმაღლეში მორიგაბროთ?

რა დასამალია, რომ ჩვენს შორის საკმარისად არიან ისეთები, რომლებსაც ოცნებად აქვთ ქცეული სიმაღლის მომატება. ტანდაბალი გოგონები მტკაველის სიმაღლე ქუსლებზე ღებებიან, ოღონდ ნორმას მიაღწევენ. ათასგვარ ხრიკს მიმართავენ ვაჟებიც, რომლებიც ბუნებამ იმით დანაზრა, რომ სიმაღლეში სწორედ იმდენი დააკლო, რამდენიც მამაკაცისთვისაა საჭირო ამ ცხოვრებაში თავის გამოსაჩინად.

ბო იაბონური ყაიდის დეტა და სხვა. ამ „სხვაში“ შედის ერთი მეტად ეფექტური ნიუანსი, რომელიც ფირმის საიდუმლოებას წარმოადგენს. მას უშუალოდ მკურნალობის პროცესში მიმართავენ. ამ მეთოდის ავტორია მოსკოველი ექიმი ა. პალკო, მასთან საჭირო კონტაქტი დაამყარა „ფანასკერტლის“ მთავარმა ექიმმა გურამ ხაჭაპურიძემ. ფირმამ მოსკოვში შეიძინა საგანგებო აპარატურა, ვიბრაციული მაგიდა. დასაქმიმ მონაწილეობა და სხვა. კაბინეტის საქიანობას ხელმძღვანელობს თამარ ბეჟაური, „ალიონის“ ქარხნის დირექტორი (დირექტორი მალხაზ გელაშვილი, მოადგილე ნალია ხუციშვილი) ყოველნაირად ხელს უწყობს კაბინეტის ნაყოფიერ მუშაობას და შეიძლება ითქვას, რომ მკურნალობას კარგი შედეგები მოაქვს. ხუთი თვის განმავლობაში ბავშვებმა საშუალოდ 4-6 სანტიმეტრამდე მომატეს, მკურნალობის ეს მეთოდი სრულიად უვნებელია აღამიანის ჯანმრთელობისთვის, პროცედურების დაწყებამდე ექიმის დანიშნულებით პაციენტებს უტარდებათ რენტგენოლოგიური, ლაბორატორიული და სხვა გამოკვლევები. წლის ბოლოსთვის მკურნაობის ჩადგება კეთილმოწყობილი, უახლესი აპარატურით აღჭურვილი სამკურნალო ფიზიკური კაბინეტი ყალაქვეშა მასაჟით და სამედიცინო საუნთხით.

მკურნალობა ტარდება ყოველ დღე, შაბათ-კვირის ჩათვლით, 10-დან 20 საათამდე. მისამართი: თბილისი, თემქის დასახლება, III მიკრორაიონი, ისააკიანის ქ. №5. გამოთვლითი მანქანების შემკვეთებელი ქარხანა „ალიონის“ შენობის I სართული, მეტრო თემქიდან ავტობუსის მეშვეობით გაჩერება. **სოთა ლოლაძე.** **სურათზე:** სიმაღლეში მომატების ერთ-ერთი პროცედურა. **ავტორის ფოტო.**

გუნდურში პირველი ალბომი

ჩემოქარში გამართულ ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლების პირველობაზე თავისუფალ ჰილდობაში 20-მდე გუნდს მონაწილეობდა. პირად პირველობაში კარგად იასპარეზა კახა შოშიტაშვილმა, რომელმაც თავის წონაში (82 კგ) პირველი ადგილი დაიკავა. მეორე

